პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ И ЦЕНТРАЛЬНОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ОРГАНА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 64 (10456) | პარასკევი, 16 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ნ. ს. ხრუშჩოვი ვარშავაში ჩავიდა (1-ლი გვერდი).

საბჭოთა პატრიოტიზმის უძლეველი ძალა (2-ე გვერდი).

პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა მოუკვდა ალი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა წერილები გაუგზავნეს ერთმანეთს (1-ლი გვერდი).

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინი — ბ. ჟ. ჟანენი (1-ლი გვერდი).

ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოებისა და გაღრმავების ინსტიტუტი (1-ლი გვერდი).

ბულგარეთ-ალბანეთ-ჩინეთ-ალბანეთ ურთიერთობა (1-ლი გვერდი).

ბ. ბ. ბ.

თბილისის მშრომელთა საერთო კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი

თბილისში იმართება საწარმო-დაწესებულებათა, სასწავლებელთა კოლექტივების საერთო კრებები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი. კრებებზე მოხსენებებს აკეთებენ ყრილობის დელეგატები.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივის საერთო კრებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ. პარტიის XX ყრილობის მუშაობისა და გადაწყვეტილებათა შესახებ მოხსენება გააკეთეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა მ. ვ. გიორგაძემ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში — საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. სეხნიაშვილმა, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ი. კუჭავამ, ლოკომოტივშემკეთებელ ქარხანაში — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა დ. გ. მამაცაშვილმა, სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში — მექანიკური საამქროს ხარატმა ი. დ. ჭუმბურიძემ და სხვებმა.

კრებები დიდი აქტივობით მიმდინარეობს. კრებების მონაწილენი თავიანთ გამოსვლებსა და მიღებულ რეზოლუციებში მხურვალედ იწონებენ და მიესალმებიან კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ახალ დიდებულ პროგრამას. მშრომელები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მზად არიან თავდადებით იბრძოლონ, რათა განხორციელდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ვადამდე შეასრულონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

კრებები იქცევა კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო საქართველოს მშრომელთა ურღვევი დარაზმულობის მკაფიო დემონსტრაციად. (საქდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე ცალკე ბროშურად გამოსცა ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. კირიჩენკოს, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიქოიანის, ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე.

ბროშურები პარტიის XX ყრილობის მასალებით გამოიცა მასობრივი ტირაჟით.

(საქდეპი).